ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო განეხილა ის გზები, რომლითაც ზემოაღნიშნული მიზნები დაკავშირებულია სფეროსა და საზოგადოების განვითარებასთან. შეფასდა, რომ სწავლების ამ საფეხურზე (ბაკალავრიატი) მიზნები გამართლებულია, მიზანშეწონილია და ტრანსფერული უნარებიც მიმართულია ამ მიზნის მიღწევისკენ.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებთან და

⁸ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

ამოცანებთან დაკავშირებული განაცხადები მკაფიოდ დანერგილია, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს; ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას. შესაძლებელი იყო პროგრამის საერთაშორისო ამბიციების შეფასება, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილი იყო მთელი რიგი პერსპექტივები. პროექტები, კვლევები და სწავლის სფეროები კარგად შეესაბამება როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებს, ასევე კვლევის მოსალოდნელ დონეებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალი მუსიკათმცოდნე-მკვლევარი, რომელიც თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით, შეძლებს მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა პროცესის გაანალიზებას და კრიტიკულად შეფასებას ეროვნული და მსოფლიო მუსიკის კონტექსტში, მუსიკის ისტორიის/მუსიკის თეორიის/ეთნომუსიკოლოგიის/საეკლესიო მუსიკის მიმართულებით, სამეცნიერო და შემოქმედებითი პრაქტიკის ურთიერთქმედების საფუძველზე წამოიწყონ და დამოუკიდებლად განახორციელებს კვლევით/კრეატიულ პროექტებს.

დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს გამოქვეყნებულ კრიტერიუმებს.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული განაცხადები მკაფიოდ დანერგილია, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს; ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას. შესაძლებელი იყო პროგრამის საერთაშორისო ამბიციების შეფასება, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილი იყო მთელი რიგი პერსპექტივებისა. პროექტები, კვლევები და სასწავლო სფეროები კარგად შეესაბამება როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებს, ასევე კვლევის მოსალოდნელ დონეებს.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)

მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება კონსერვატორიის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე კულტურის სტრატეგიას (2025) და განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიას 2022-2030 წლებში და

ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა და/ან განვითარებაზე.

პროგრამის მიზნები ასეთია:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სამუსიკისმცოდნეო სხვადასხვა დარგში, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელ სამეცნიერო საქმიანობას კონკრეტულ დისციპლინაში ან/და ინტერდისციპლინურ სფეროში;
- განათლება მისცეს მუსიკოლოგს, რომელიც შეძლებს განახორციელოს ეროვნული მუსიკალური კულტურის აქტუალური პრობლემების შესაბამისი, გამოყენებითი ან/და ინოვაციური კვლევა მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლესიო მუსიკის, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით;
- მუსიკოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ცოდნის შექმნა;
- უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის მომზადება;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტების, როგორც მკვლევარების, ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ მუსიკოლოგიის, როგორც დარგის განვითარებაში;

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული განაცხადები მკაფიოდ დანერგილია, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს; ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას. შესაძლებელი იყო პროგრამის საერთაშორისო ამბიციების შეფასება, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილი იყო მთელი რიგი პერსპექტივებისა. პროექტები, კვლევები და სასწავლო სფეროები კარგად შეესაბამება როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებს, ასევე კვლევის მოსალოდნელ დონეებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)

კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს გამოცდილი კომპოზიტორი, რომელსაც შეუძლია, შექმნას ორიგინალური მუსიკალური რეპერტუარი სხვადასხვა სტილში ორკესტრებისთვის, ოპერებისთვის, ბენდებისთვის და სხვა მუსიკალური ჯგუფებისთვის. ასევე, ვინც შეძლებს არსებული მუსიკალური ნაწარმოებების არანჟირებას ახალი კომპოზიციებისთვის; შეძლებს ნამუშევრების ტექნიკურად სწორი ნოტები უზრუნველყოს ორკესტრის, ანსამბლის, საგუნდო და სოლო შემსრულებლებისთვის შესაბამისი წესების დაცვით, ცალკეული ხმოვანი/ინსტრუმენტული ნაწილების გაერთიანება, რამაც უნდა

უზრუნველყოს შემსრულებელთა მიერ ზუსტი შესრულება.

დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით, შესაძლებელი გახდა იმის შეფასება, რომ ეს პროგრამა არის საერთაშორისო პერსპექტივით, ამბიციით და სტუდენტებს სთავაზობს დასაქმების მთელ რიგ ვარიანტებს სწავლის დამთავრების შემდეგ, მიღებული კომპეტენციების სიძლიერის საფუძველზე. შრომის ბაზარი განაპირობებს ამ ტენდენციებს და არის ლოგიკური და შესაბამისი. პროექტები, კვლევები და სასწავლო სფეროები კარგად შეესაბამება როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებს, ასევე კვლევის მოსალოდნელ დონეებს.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კონსერვატორიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მუსიკოსი, კომპოზიტორი მაგისტრის აკადემიური ხარისხით. კერძოდ, გააძლიეროს სტუდენტთა გამოცდილება კომპოზიციის მიმართულებით და განუვითაროს მხატვრული შემოქმედების უნარები; უზრუნველყოს მუსიკალური ენისა და ტერმინოლოგიის ფუნქციური ცოდნის გაღრმავება; განუვითაროს ავტონომია, რომელიც აუცილებელია მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციისთვის, დამოუკიდებელი სწავლისა და პროფესიული კარიერისთვის.

პროგრამის მიზნები ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს; ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას. პროექტები, კვლევები და სასწავლო სფეროები კარგად შეესაბამება როგორც საერთაშორისო კრიტერიუმებს, ასევე კვლევის მოსალოდნელ დონეებს.

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა განვითარებადი შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ტენდენციების კარგად გაგების დემონსტრაციას ახდენს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)

კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის მიზანია კომპოზიტორის პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი, აკადემიური ხარისხის მქონე კომპოზიტორის მომზადება. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი მუსიკალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის და შემოქმედებით პრაქტიკაზე

ორიენტირებული მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევართა მომზადებას.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს საშუალება მისცეს განავითარონ ან/და კიდევ უფრო გააძლიერონ კომპოზიციური უნარები; განსაზღვროს ან/და აირჩიოს მათი კომპოზიციური მიმართულებები 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისად; შემოქმედებით-სამეცნიერო უნარებისა და კომპოზიციის შერწყმით, ჩამოაყალიბონ კომპოზიტორების საკუთარი პროფილი და იდენტობა.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული განაცხადები მკაფიოდ დანერგილია, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს; ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ინტერდისციპლინურ მიდგომას მუსიკის კლასიკური სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ, უზრუნველყოფს დარგის თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ესთეტიკის, ხმის ანალიზის, დამუშავების, სინთეზის და მოქნილი კონტროლის სტრატეგიების ცოდნას. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს სპეციალისტების მომზადებას მუსიკალური სისტემების გამოთვლითი მოდელირების უნარებით, მუსიკის სფეროში უწყვეტი განათლებითა და ტექნოლოგიისა და მუსიკალური ინდუსტრიის ცვლილებებთან სწრაფად ადაპტაციის უნარით; ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც აქვთ ხმის დამონტაჟების, მასტერინგის, ჩაწერის უნარები და საბაზისო აუდიო-ვიზუალური ცოდნა.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუსიკალური ტექნოლოგიების დარგის მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების სწავლება, რომლებიც დასაქმდებიან მუსიკალურ ინდუსტრიაში ან/და გააგრძელებენ სწავლას განათლების შემდგომ საფეხურს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, შემდეგი მიმართულებებით: ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია, მუსიკის წარმოება, მუსიკის ჩაწერა, აუდიო ინჟინერია, აუდიო დიზაინი, მულტიმედია და თამაშის მუსიკის დიზაინი, აპარატურის/პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი, სივრცული ხმა, ფილმის და მედიის ხმა, მუსიკალური ბიზნესი და ა.შ.

მთელი რიგი შეფასებითი ღონისძიებების საშუალებით, მათ შორის შენობების დათვალიერებით, შესაძლებელი გახდა პროგრამის დასახული მიზნების მიღწევის ამბიციის შეფასება. სტუდენტებმა, გასაუბრების დროს, შემოგვთავაზეს მთელი რიგი პერსპექტივებისა, თუმცა გაკეთებული კომენტარები უმეტესად მხარდაჭერილი იყო მოწოდებული დოკუმენტაციით. სწავლის დონე (ბაკალავრიატი) შეესაბამება დარგის განვითარებას და აშკარაა, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც მუსიკალური ინდუსტრიის, ასევე სხვა ხელოვნების საერთო განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

2023 წელს აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა არის ნორვეგიელ კოლეგებთან ერთად შემუშავებული სასწავლო პროგრამა და ის მორგებულია კონსერვატორიის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული სასწავლო გეგმის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს მაღალკვალიფიციურად განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები მხატვრული კვლევის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო უნარების გაძლიერების საფუძველზე, მუსიკალური ტექნოლოგიების სფეროში, ზოგადი მუსიკალური და მულტიდისციპლინური ცოდნით.

პროგრამის მიზნები მტკიცედ შეესაბამება ინდუსტრიის მოლოდინებს და შეესაბამება კონსერვატორიის სტრატეგიას.

დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პერსონალთან და სტუდენტებთან, სიღრმისეული ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ განცხადებები ასახავს სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, და ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ პერსონალს ესმოდა მათ პროგრამებს შორის ურთიერთობა, მათი სფეროს გაძლიერება და თუ როგორ ქმნის ამ ტენდენციებს შრომის ბაზარი და შემდგომ როგორ ახდენს მომავალი მუსიკოსის, მასწავლებლის, განმანათლებლისა და პოტენციური სტუდენტის ფორმირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერად დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები (დანართი 1);
- შრომის ბაზრის კვლევები (დანართი 25);
- კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 22)
- ადგილზე ვიზიტის ინტერვიუების შედეგები, შეგროვებული და გაანალიზებული ინფორმაცია
- შენობების ტური

- სტრატეგიული გეგმა

რეკომენდაციები – არ არის

რჩევები- შრომის ბაზრის ტენდენციების გავლენის ეფექტურობის მონიტორინგისთვის მექანიზმების მოფიქრება სამომავლო გაუმჯობესებისთვის.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება⁹

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁹შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებასთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობის გრძნობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა შემდგომი ანალიზით, რომ თვითშეფასების ანგარიშში განაცხადი იყო მტკიცე და განხორციელებული შესაბამისად: „ამ თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფების მიერ და ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიის, საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს, მუსიკის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების საფუძველზე (<https://eqe.ge/en/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>). საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამუშაო ჯგუფების წევრებს ასევე გადაეცათ ევროპის კონსერვატორიათა ასოციაციის (AEC) ფარგლებში შემუშავებული პირველი, მეორე და მესამე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩარჩო დოკუმენტი და პროექტი პოლიფონია (<https://aec-music.eu/userfiles/File/aec-polifonia-learning-outcomes-en.pdf>).”¹⁰ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ჩარჩოები არ არის სტატისტიკური და რომ კარგი პრაქტიკა სწავლის შედეგების დიზაინის ინტერპრეტაციასა და განხორციელებასთან დაკავშირებით ვითარდება - კლასტერი უნდა დარჩეს კავშირში ევროპის კონსერვატორიათა ასოციაციასთან და სხვა პლატფორმებთან, რათა მიიღოს სარგებელი.

სწავლის შედეგების აგების დიზაინი მოწმობს სწავლაში სტუდენტის ავტონომიურობის მხარდაჭერას, რაც აუცილებელია ამ კონკრეტული პროგრამების კლასტერის სწავლის სფეროების ფარგლებში. როგორც ეს მითითებულია პროგრამის მიზნებში, მთელი რიგი უნარების განვითარება, დანერგილი სწავლის შედეგების დიზაინით, თანაც სათანადო მარეგულირებელ სტანდარტებთან მჭიდრო შესაბამისობაში, ხელს უწყობს სტუდენტის საერთო კეთილდღეობას და აღჭურავს მათ საჭირო უნარებითა და ცოდნით.

სწავლის შედეგები შეფასებულია როგორც კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან თავსებადი და ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს (კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო). ისინი თავსებადია სწავლის სფეროს შესაბამის ასპექტებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ტენდენციებთან. ჯგუფი კერძოდ აღიარებს, რომ სამუშაო ჯგუფები კარგად იყო მოხსენიებული ადგილზე ვიზიტის განმავლობაში, როგორც სწავლის შედეგების შესაბამისი და კარგად გააზრებული ამბიციის რეალიზაციის მნიშვნელოვანი მექანიზმი. ამ

¹⁰ თვითშეფასების ანგარიში გვ. 25.

სამუშაო პროცესმა ასევე ხელი შეუწყო სტუდენტების უკეთეს სოციალიზაციას და სწავლის შედეგების გაზიარების დროული და ადეკვატური გზით განხორციელებას, რათა უკეთ გაცნობოდა სტუდენტი საზოგადოება მოლოდინებს და დახმარებოდა სტუდენტებს მიზნების მიღწევაში.

კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა ადასტურებს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს ცოდნას, უნარებს და ნერგავს ავტონომიურობას ისე, როგორც ეს განსაზღვრულია მათი შინაარსით. შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, არის გაზომვადი და მიღწევადი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კერძოდ, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მართლაც იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც კარგად იყო განხორციელებული და სოციალიზებული მთელს უნივერსიტეტში. ეს დადასტურდა მთელი რიგი საზომებით, მათ შორის კურსდამთავრებულთა ინფორმაციითა და სამუშაო ჯგუფის ოქმებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კერძოდ, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მართლაც იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც კარგად იყო განხორციელებული და სოციალიზებული მთელს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ სამაგისტრო დონე ლოგიკურად იყო დაკავშირებული ბაკალავრიატთან დონისა და დიფერენციაციის თვალსაზრისით; და შესაბამის დონეზე სათანადო შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)

გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა დაადასტურეს მკაფიო გაგება იმისა, თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების თაობაზე (კერძოდ, სწავლების შესაძლებლობები უსდ-ს დონეზე) სწავლის შედეგების შემუშავების თანამშრომლობით პროცესს. ინტერვიუების მეშვეობით მკაფიოდ დადასტურდა, რომ მასწავლებელთა გუნდი აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ სტუდენტებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კერძოდ, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მართლაც იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც კარგად იყო განხორციელებული და სოციალიზებული მთელს უნივერსიტეტში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კერძოდ, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მართლაც იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც კარგად იყო განხორციელებული და სოციალიზებული მთელს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ სამაგისტრო დონე ლოგიკურად იყო დაკავშირებული ბაკალავრიატთან დონისა და დიფერენციაციის თვალსაზრისით; და შესაბამის დონეზე სათანადო შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)

გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა დაადასტურეს მკაფიო გაგება იმისა, თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების თაობაზე (კერძოდ, სწავლების შესაძლებლობები უსდ-ს დონეზე) სწავლის შედეგების შემუშავების თანამშრომლობით პროცესს. ინტერვიუების მეშვეობით მკაფიოდ დადასტურდა, რომ მასწავლებელთა გუნდი აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ სტუდენტებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

ეს პროგრამა ადასტურებს პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებზე ძლიერ აქცენტს, ხოლო შემუშავებული სწავლის შედეგები სათანადოდ ასახავს ამას, კერძოდ დამსაქმებლის შესაძლებლობასთან და/ან შემდგომ საფეხურზე სწავლასთან მიმართებაში. სწავლის შედეგები შეფასდა, როგორც კვალიფიკაციის დონისა და სფეროს შესაბამისი. პროგრამის მიწოდებაში ჩართულ პირებს ჰქონდათ პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნის დონე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით შესაძლებელი გახდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და კერძოდ, რომ სწავლის შედეგების შემუშავება მართლაც იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც კარგად იყო განხორციელებული და სოციალიზებული მთელს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ სამაგისტრო დონე ლოგიკურად იყო დაკავშირებული ბაკალავრიატთან დონისა და დიფერენციაციის თვალსაზრისით; და შესაბამის დონეზე სათანადო შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები (დანართი 1);
- კურიკულუმის რუკები (დანართი 1)
- კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი 22)
- მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები (დანართი 23)
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების წესი (დანართი 3)
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: გააგრძელეთ კარგი პრაქტიკის ძიება საერთაშორისო კონტექსტში, რათა უზრუნველყოთ სწავლის შედეგების თანამედროვე ჩარჩოში მოქცევა და მათი დაკავშირდება სტუდენტის სწავლასა და შეფასებასთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

კონსერვატორიას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რაც განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების წესები“. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ მეთოდებს. მეთოდები ძირითადად თანმიმდევრული და გამჭვირვალეა, ხოლო სადაც შეინიშნებოდა შეუსაბამობები, პერსონალი ღია იყო სტუდენტური გამოცდილების გაუმჯობესებაზე სამუშაოდ.

პროგრამის შემუშავებელე სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პასუხისმგებელი არიან სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების განხორციელებაზე. არსებობს შეფასების სისტემები, სასწავლო სფეროსა და სწავლების დონისათვის მეტწილად ქმედითი და შესაბამისი.

კონსერვატორია რეგულარულად ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების - ფინალური ქულების მონიტორინგს Bell-curve პრინციპის გამოყენებით (გაუსის დიაგრამა). სწავლის შედეგის არაპირდაპირ შეფასებად კონსერვატორია იყენებს: სასწავლო კურსების და პედაგოგიური პერსონალის შეფასებას - ყოველი სემესტრის ბოლოს; თვითშეფასების ანგარიშებს აკადემიური პერსონალის

საგანმანათლებლო/სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ - ყოველწლიურად; კურსდამთავრებულთა გამოკითხვას და ბაზრის კვლევას (დამსაქმებელთა მოთხოვნების დასადგენად); სტუდენტების გამოკითხვებს/ფოკუს ჯგუფებს; კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს/ფოკუს ჯგუფებს; დამსაქმებელთა გამოკითხვებს/ფოკუს ჯგუფებს; აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს/ფოკუს ჯგუფებს; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ანგარიშს და ა.შ.

თვისებრივი კვლევა (ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები) შეირჩა საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულებამ ყველა პროგრამაში, მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შეიტანა რამოდენიმე ცვლილება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის დოკუმენტაციაში სწავლის შედეგების შეფასების რუკები არ მოიძებნა. ინტერვიუების დროს აკადემიურმა პესონალმა ვერ აჩვენა თანმიმდევრულად, რომ იცოდნენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და ხედავდნენ თავიანთი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან.

თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით შეგროვებულ ინფორმაციაზე, თანდართულ დოკუმენტებსა და ადგილზე ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაონ სამიზნე ნიშნულები კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის და ასევე განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედარება მიზნობრივ ნიშნულებთან. უნდა მოხდეს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის გაზომვის კონკრეტული მეთოდების იდენტიფიცირება. თითოეული პროგრამისთვის უნდა შეიმუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან.

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას გამოიყენება რამდენიმე ზმნა, რაც ართულებს სწავლის შედეგის მიღწევის გაზომვას. გარდა ამისა, სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოიყენება ისეთი ზოგადი ზმნები, როგორცაა „იცის“, „ესმის“, „აქვს ცოდნა“, „შეუძლია გაიგოს“ და ა.შ. რაც ართულებს სწავლის შედეგების შეფასებას და გაზომვას. იმისათვის, რომ სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი, საჭიროა ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან მაქსიმუმ ორი-სამი ზმნის გამოყენება, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ მოქმედებას პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- აკადემიური საბჭოს დადგენილება (No41/2021) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ.
- პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები
- ბაზრის კვლევის დოკუმენტი
- ინტერვიუების შედეგები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად, შესაბამისი სასწავლო კურსებიდან შეფასების კონკრეტული ფორმის საფუძველზე; მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან.
- შეიმუშავეთ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან, რათა უკეთ წარმოაჩინოს კურსის შედეგებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა.
- უზრუნველყავით, რომ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ინფორმირებული იყოს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზისა და შეფასების მეთოდების შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები:

- პროგრამის ერთი სწავლის შედეგის ფორმულირებისას, გამოიყენეთ ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან მაქსიმუმ ორი-სამი ზმნა, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ მოქმედებას. უნდა განისაზღვროს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის გაზომვის კონკრეტული მეთოდი.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
--	---------------------------------	---	---	------------------------------

პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების (კომპოზიცია B, M, D; მუსიკოლოგია B, M, მუსიკოლოგიური კვლევები D; მუსიკის ტექნოლოგია B, M) სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი პროგრამები მიჰყვება უნივერსიტეტის ნორმატიულ დოკუმენტს, კერძოდ, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და დამტკიცების მეთოდოლოგიას“. აღნიშნული პროგრამები სტრუქტურირებულია სწავლის დონის მიხედვით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს, რომლებიც იყენებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS).

ამ პროგრამების შინაარსი არსებითად შექმნილია იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს განსაზღვრული კვალიფიკაცია და მიაღწიოს სასურველ სწავლის შედეგებს. პროგრამები არის გააზრებულად სტრუქტურირებული, მნიშვნელოვანი აქცენტით ლოგიკურ აგებულებაზე. ბაკალავრიატის,

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სწავლის შედეგები, კურსებით მორგებული კონკრეტული საფეხურის სირთულის დონეს.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამების განახლებისას, სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნა დარგის თანამედროვე მიღწევები და უახლესი კვლევის შედეგები (ლიტერატურის პერიოდული განახლება და კვლევის საკითხები). პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი დაიხვეწა უცხოური ანალოგების გამოყენებით და ითვალისწინებს საერთაშორისო სივრცეში არსებულ ტენდენციებს. როგორც უსდს წარმომადგენლებმა გასაუბრებების დროს განაცხადეს, ჩაატარეს კვლევა საერთაშორისო ანალოგების შესახებ და თვითშეფასების ანგარიშში და ინტერვიუს პროცესში არაერთი უცხოური დაწესებულება მოიხსენეს პროგრამის აღწერილობაში. პროგრამების ინტერნაციონალიზაციისთვის უსდს განხორციელებული აქვს სამუშაო შეხვედრები ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, რასაც მოწმობს გაფორმებული მემორანდუმები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო ვიზიტები (ვორქშოფები, მასტერკლასები, კონცერტები, კონფერენციები, ფესტივალები, სიმპოზიუმები) ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში.

თვითშეფასების ანგარიშსა და ადგილზე განხორციელებულ ვიზიტზე დაყრდნობით, ექსპერტები თანხმდებიან, რომ განახლების პროცესში გამოყენებული იყო ყოვლისმომცველი მიდგომა. დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მოწვეული ექსპერტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში და ღირებული წვლილი შეიტანეს პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის დახვეწაში. პროგრამები არსებითად ითვალისწინებს როგორც სტუდენტების, ასევე დარგის საჭიროებებს.

სილაბუსების შემუშავებისას გათვალისწინებულია სახელმძღვანელოების პერიოდული განახლება. სასწავლო პროცესში გამოიყენება უძველესი მუსიკალური მასალიდან დღემდე შექმნილი ლიტერატურა, გამომდინარე საგნის სპეციფიკიდან. რამდენიმე სილაბუსში, ძირითად ლიტერატურაში ქართულენოვან გამომცემლობებთან ერთად, მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა (მაგისტრატურა, დოქტორანტურა). ლექტორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ უცხო ენა (ინგლისური) ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე და მათი მზაობიდან გამომდინარე, ორი დონის შესაბამის სასწავლო კურსს სთავაზობენ სტუდენტებს. შესაბამისად, გამოიკვეთა სტუდენტთა ენის ცოდნის მაღალი მაჩვენებელი, რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში გამართული ინგლისურენოვანი კომუნიკაციით როგორც პედაგოგთა, ასევე სტუდენტთა მხრიდან. ამრიგად, სტუდენტები თავისუფლად ართმევენ თავს უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებას.

სწავლის შედეგების გასაზომად, პროგრამები საჭიროებს შეფასების ეფექტურ და გამჭვირვალე სისტემას, რაც, ძალიან კარგად არის ასახული სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების სტრუქტურასა და ფორმასთან დაკავშირებული კონკრეტული დეტალები (რამდენ თემას მოიცავს; არის თუ არა გამოცდები ზეპირი/წერილობითი და ა.შ.). შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია და ითვალისწინებს ცალკეული კურსის სპეციფიკას.

კათედრების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, შეფასების პროცესის გასაძლიერებლად, პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა ერთობლივად განიხილეს სილაბუსები. თითოეულ კურსს, ერთად მოარგეს შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შესაბამისად, უზრუნველყოფილია შეფასების თანმიმდევრული და ეფექტური პროცესი.

პროგრამებში სიახლეს წარმოადგენს მაინორ პროგრამების ჩართვა. ბაკალავრიატის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ძირითადი სასწავლო კურსის (180 კრედიტი) ათვისების პარალელურად აირჩიონ დამატებითი კურსი, რომელიც პროფესიაში შესვლის და დასაქმების წინაპირობაა. ასეთი პროგრამებია, მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და მუსიკის ტექნოლოგია. ასევე, სასწავლო კურსებში გამიჯნულია სპეციალობის ძირითადი და დამატებითი მუსიკალური საგნები,

ასევე ზოგადი სასწავლო კურსები და არჩევითი საგნები. სტუდენტებს აქვთ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის ათვისების შესაძლებლობა.

სტუდენტებს, განსაკუთრებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე სჭირდებათ, თვალყური ადევნონ თავიანთ სფეროებში არსებულ უახლეს მიღწევებს. ამიტომაც, კონსერვატორიაში იმართება მრავალხმიანობის კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ყოველწლიური სიმპოზიუმი, სტუდენტთა კონფერენციები და ა.შ. სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ და მონაწილეობენ საქართველოში არსებულ მსგავსი ტიპის სასწავლო დაწესებულებებში გამართულ საერთაშორისო თუ ეროვნულ კონფერენციებში და ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობენ უცხო ქვეყნების სამუსიკო უმაღლეს სასწავლებლებთან.

სტუდენტთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა უმრავლესობა არ აწვდის მათ სილაბუსებს და ხშირ შემთხვევაში, მათი მოლოდინები არ მართლდება შესასწავლ საგანთან მიმართებით. ხარისხის სამსახურის ჯგუფმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა გააკეთეს განმარტება, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, ყველა სილაბუსი მოწესრიგებულია (რასაც ვადასტურებთ დარგობრივი ექსპერტებიც) და განურჩევლად ყველა სტუდენტის ინტერესი დაკმაყოფილებული იქნება შესასწავლი საგნების, კომპონენტების, შეფასების და სხვა საჭიროებების შემთხვევაში. როგორც გაირკვა, ელექტრონულ პორტალზე, ini.ge ჯერ არ განთავსებულა სილაბუსები და არც სტუდენტებთან უკუკავშირის ველია აქტიური, ამიტომაც, პედაგოგებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით უწევთ კომუნიკაცია სტუდენტებთან და შესაბამისად მიეწოდებათ მათ სასწავლო პროცესისთვის საჭირო ელექტრონული მასალა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მუსიკოლოგია. ბაკალავრიატი)

მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 2011 წლიდან არის აკრედიტებული და 2023 წლის 31 დეკემბრამდე ხორციელდება და აგრძელებს მუშაობას მუსიკის თეორიის სახელწოდებით. ამჟამად წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია „მუსიკოლოგია“ სახელწოდებით და მასში ინტეგრირებულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკის მასწავლებელი; 60 ECTS), რომელიც კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის სტატუსით. „მუსიკოლოგია“ საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სასწავლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად და ითვალისწინებს სწავლების 8 სემესტრს – 240 კრედიტს. აქედან, 146 ECTS კრედიტის მოცულობა სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო და კვლევით კომპონენტებს ეთმობა; 14 ECTS კრედიტის მოცულობა საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინას; 20 ECTS მოცულობა არჩევით და თავისუფალ კრედიტს; მუსიკის მასწავლებლისა და/ან მუსიკის ტექნოლოგიის 60 ECTS კრედიტიანი დამატებითი პროგრამები. ზემოხსენებული მაინორ პროგრამების არჩევის მიზნით სტუდენტმა კონსულტაციისათვის უნდა მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს, რის შემდეგ განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს შერჩეული არჩევანის დაფიქსირებით. დამატებითი პროგრამის არჩევა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მე-3 აკადემიური სასწავლო წლის დასაწყისისა. საბაკალავრო ნაშრომის სავარაუდო თემისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტმა ინდივიდუალური კონსულტირებისთვის უნდა მიმართოს პროგრამის აკადემიურ პერსონალს სწავლების მე-6 და მე-7 სემესტრებში (საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ისარგებლოს ერთზე მეტი, სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის კონსულტაციით). ხოლო მერვე სემესტრში საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს ხელმძღვანელის ზედამხედველობით. გარდა

სტუდენტთა სალექციო საათებში დატვირთვისა, მნიშვნელოვანია, თავისუფალ დროს მათი დამოუკიდებელი აქტივობები, რომელიც ხანგრძლივ სამუშაო გრაფიკს მოიცავს და შესაბამისად, ლექციების გრაფიკი ისეა შედგენილი, სტუდენტს დრო დარჩეს ინდივიდუალური მუშაობისთვის.

ანალოგიურად, შუალედური განმავითარებელი და საბოლოო გამოცდა შინაარსობრივ ბმაშია ერთმანეთთან. ძირითად შემთხვევაში, ლექტორ-მასწავლებლებს სილაბუსებში მითითებული აქვთ ორი შუალედური შეფასება და გამოცდა. ასევე, სტუდენტები ფასდებიან ლექციებისა და სემინარების დროს განხორციელებული აქტივობებით. სილაბუსებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკა მორგებულია საგნის სპეციფიკას და სტუდენტისთვის საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შესაძლებლობაა. შუალედური შეფასებების პროცესში მიცემული უკუკავშირი გამოცდის წარმატებით ჩაბარების წინაპირობაა.

მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველებისთვის დაშვების წინაპირობაა: ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი; ბ) შემოქმედებით ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. პროგრამის მიზანია: მისცეს ზოგადი ცოდნა მუსიკალურ დისციპლინებში უმველესიდან უახლეს დრომდე, მომიჯნავე ჰუმანიტარულ დარგებში არსებული ცოდნის და მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით; მისცეს საფუძვლიანი ცოდნა მუსიკის თეორიაში, მუსიკის ისტორიაში, ეროვნულ ფოლკლორულ და საეკლესიო მუსიკაში და მოამზადოს სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი მუსიკოლოგიაში.

სწავლების თანმიმდევრობა, საგანთაშორისი კავშირები ლოგიკურად არის სტრუქტურირებული. მეთოდოლოგია სათავეს იღებს ეროვნული მდიდარი ტრადიციებიდან, რასაც ემატება უსდს წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და თანამედროვე გამოწვევები. პროგრამა ნაწილობრივ განიცდის ცვლილებას, ისე, რომ არ დაიკარგოს მანამდე არსებული წარმატებული პრაქტიკა. ძირითად კურსებში ჩართულია 21-ე საუკუნის მუსიკოლოგიური კვლევები, უახლესი სასწავლო მასალები და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია არჩევითი კურსების საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი სპექტრი.

უსდ მუშაობს არჩევითი და დამატებითი კურსების გამრავალფეროვნებაზე, რომელიც სტუდენტს დასაქმების ფართო არეალს გადაუშლის და ამასთანავე, სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგია. მაგისტრატურა)

მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, 2011 წლამდე ხორციელდებოდა ოთხი დამოუკიდებელი პროგრამის ა) მუსიკის ისტორიის, ბ) მუსიკის თეორიის, გ) ეთნომუსიკოლოგიისა და დ) საეკლესიო მუსიკის სახელწოდებებით. 2011 წლიდან მუშაობს სახელწოდებით მუსიკისმცოდნეობა, რომელშიც ხსენებული ოთხი პროგრამა ინტრადისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე წარმოდგენილია ერთიანად. წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას შენარჩუნებული აქვს სტრუქტურა და ერთი პროგრამის ფარგლებში ანიჭებს 3 კვალიფიკაციას: ა) სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკოლოგიაში / Master of Music (MMus) in Musicology ბ) სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში / Master of Music (MMus) in Ethnomusicology გ) სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში / Master of Music (MMus) in Church Music.

მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შემდეგ მოდულებს: მუსიკის

ისტორია, მუსიკის თეორია, საეკლესიო მუსიკა, ეთნომუსიკოლოგია.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ყველა მოდულისთვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- მოდულებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები: მოდულები „მუსიკის ისტორია, მუსიკის თეორია“ და „საეკლესიო მუსიკა“ – 60 კრ., ამათგან 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომი; მოდული „ეთნომუსიკოლოგია“ - 64 კრ, ამათგან 30 კრ. სამაგისტრო ნაშრომი;
- არჩევითი სასწავლო კურსები: მოდულებისთვის „მუსიკის ისტორია, მუსიკის თეორია“ და „საეკლესიო მუსიკა“ – 20 კრ. მოდულისთვის „ეთნომუსიკოლოგია“ - 16 კრ.

სტუდენტს შეუძლია სასურველი სასწავლო კურსების არჩევა როგორც პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე მომიჯნავე მოდულის სავალდებულო დისციპლინებიდან ან სხვა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებიდან.

მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

1. ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მუსიკის სფეროში,
ბ) ხელოვნების, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი დამატებითი სპეციალობით მუსიკის დარგში;
2. შიდასაკონსერვატორიო გამოცდა სპეციალობაში;
3. ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;

ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი დოკუმენტით.

პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი მუსიკოლოგი-მკვლევარი, რომელსაც შეუძლია მუსიკის ისტორიის/ მუსიკის თეორიის/ ეთნომუსიკოლოგიის/ საეკლესიო მუსიკის მიმართულებით, სამეცნიერო და შემოქმედებითი პრაქტიკის ინტერაქციაზე დაყრდნობით, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა პროცესის გაანალიზება და კრიტიკულად შეფასება ეროვნული და მსოფლიო მუსიკის კონტექსტში, კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების ინიცირება და დამოუკიდებლად განხორციელება.

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც, ერთი მხრივ, განაპირობებს ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნის გაღრმავებას, მეორე მხრივ კი - სასწავლო პროცესში სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან გაზრდას, სტუდენტისთვის სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების სრულყოფას.

პროგრამის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების, კულტურის, მეცნიერების, მედიის, შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროებში, საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორში; დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა პროექტები.

შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია და მორგებულია შესასწავლი საგნების სპეციფიკას. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სილაბუსების გაცნობა მნიშვნელოვანია, რადგანაც განსაზღვრონ პროგრამის და შესასწავლი საგნების შინაარსი, მოლოდინები და შეფასება და

შესაბამისად, მიიღონ მათთვის საჭირო განათლება. პროგრამის გაცნობა სტუდენტებს შეუძლიათ როგორც უსდს ვებ-გვერდზე, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ლექტორ-მასწავლებლებთან პირადი კომუნიკაციით, როგორცაა სატელეფონო კონსულტაციები და ელექტრონული ფოსტით თანამაშრომლობა.

სამაგისტრო კვლევა პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გადავხედეთ რა დაცული სამაგისტრო ნაშრომების სრულ ვერსიებსა და თეზისებს, ასევე, ვითვალისწინებთ სადიპლომო ნამუშევრების ხელმძღვანელების მაღალკვალიფიციურობას, ვასკვნით, რომ მოცემული სადიპლომო ნამუშევრების თემატიკა აქტუალურია და კვლევის ნაწილიც თანხვედრაშია სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებთან. თემათა უმეტესობა, შესაძლოა სასწავლო რესურსად გამოიყენებოდეს, მითუმეტეს, როდესაც მშობლიურ ენაზე გამოქვეყნებული ან ნათარგმნი წიგნების სიმწირე განიცდება მოცემულ სფეროში.

ძირითადი მოდიფიცირება შეეხო სასწავლო დისციპლინებმა. არჩევითი საგნების ჩამონათვალში ვხვდებით შემდეგ სასწავლო კურსებს: ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ფორმები; ბიზანტიური მუსიკის ისტორია; ელექტრო-აკუსტიკური მუსიკის ისტორია; XX საუკუნის მუსიკალური თეატრის ისტორია; ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძვლები და ა.შ. სილაბუსების გაცნობის და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ მოცემული საგნები სრულ თანხვედრაშია ძირითად შესასწავლ პროგრამასთან და სტუდენტს მისცემს სრულფასოვან ცოდნას სპეციალობის დაუფლებისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევები. დოქტორანტურა)

სადოქტორო პროგრამა მუსიკოლოგიური კვლევები 2011 წლამდე ხორციელდებოდა ოთხი დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამის სახით, ხოლო 2011 წლიდან მუშაობას აგრძელებს ინტრადისციპლინური მოდელითა და სახელწოდებით *სამუსიკისმცოდნეო კვლევები*. სააკრედიტაციო განაცხადში პროგრამას დაზუსტებული აქვს სახელწოდება - მუსიკოლოგიური კვლევები.

მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა მოიცავს 35 ECTS კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. განსხვავებით 2011 წელს აკრედიტებული მოქმედი სადოქტორო პროგრამისაგან, რომლის სასწავლო კომპონენტები გულისხმობდა: აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკას, პედაგოგიკის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, ალტერნატიულ სპეციალურ სასწავლო კურსებს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კურსებს, განახლებული სადოქტორო კურიკულუმი ორიენტირებულია მიზნობრივი შედეგების განვითარებაზე და მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს მინიმალური საკონტაქტო საათებით: ა) სწავლების მეთოდები; ბ) კვლევის მეთოდები; გ) მეცნიერების მენეჯმენტი. სასწავლო კომპონენტის ნაწილია დოქტორანტის სემინარი და პროფესორის ასისტირება.

მოდიფიცირებულ პროგრამაში სიახლეს წარმოადგენს არჩევითი სასწავლო კურსების ამოღება და მათ ნაცვლად საკუნსულტაციო საათების ინიცირება. „პრაქტიკამ აჩვენა, რომ სხვადასხვა გამოცდილების მქონე დოქტორანტი განსხვავებული საჭიროების წინაშე დგება. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა

მიჩნეული, რომ მეტი თავისუფლება, საკონსულტაციო საათების ფარგლებში ინდივიდუალურად შერჩეული ტრეინინგის თემატიკა და ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო და კვლევით პროცესს და ხელს შეუწყობს კვლევითი აქტივობების განხორციელებას.“

პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს დოქტორანტის 3 კოლოკვიუმს, რომელთა ფუნქციაა მოახდინოს სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაოს პერიოდული მონიტორინგი და განმავითარებელი შეფასება. კოლოკვიუმების ფარგლებში შეფასება არის პირობითი, იძლევა დოქტორანტის პროგრესის შესახებ ინფორმაციას და კვლევის შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას.

კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის სავალდებულო ელემენტებს, როგორცაა: მინიმუმ ორი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings), რომელთაგან ერთი ინდექსირებულია EBSCO-ს, Scopus-ის, Web of Science-ის, ERIH PLUS-ის, Index Copernicus-ის ან სხვა სამეცნიერო ბაზებში. მინიმუმ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას (მოხსენების წარმოდგენას უცხო ენაზე).

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კვლევითი საპროექტო განაცხადის, სტატიის/რეფერატის, პრეზენტაციისა და გასაუბრების შეფასების საფუძველზე; პროგრამაზე დაშვებისათვის აუცილებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მუსიკოლოგიის მიმართულებით ან მონათესავე დარგში (სწავლის სფეროების კლასიფიკატორით 0215.1.8 - 0215.1.18. კოდებით განსაზღვრული სწავლის სფეროები).

მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება კონსერვატორიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის, მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას და ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე ორიგინალური და თანამედროვე კვლევების განხორციელებით. სადოქტორო ნაშრომისთვის სავარაუდო თემის მოკლე მიმოხილვას მისაღებ გამოცდაზე წარმოადგენს სტუდენტი და ხელმძღვანელის არჩევის შემდეგ, საკვლევი თემატიკა განიცდის მოდიფიცირებას აქტუალობის მიხედვით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კომპოზიცია. ბაკალავრიატი)

კომპოზიციის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები კონსერვატორიაში ხორციელდება 1932 წლიდან. აღნიშნული სფეროს პროგრამები, ბოლონის პროცესის ფარგლებში 2005 წლიდან განხორციელებული უმაღლესი განათლების რეფორმის პირობებში, დღემდე ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე სახელწოდების ცვლილების გარეშე. კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში ინტეგრირებულია მუსიკის ტექნოლოგიის დამატებითი პროგრამა, ასევე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთაგან 105 ECTS მოდის

სავალდებულო სტატუსის კომპონენტებზე, 68 ECTS კრედიტი თეორიულ მუსიკალურ სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 7 ECTS კრედიტი დათმობილია კონსერვატორიის სავალდებულო სასწავლო დისციპლინებზე, ხოლო 60 კრედიტი - თავისუფალ და არჩევით დისციპლინებზე, ან 60 ECTS კრედიტიანი დამატებითი პროგრამის “მუსიკის ტექნოლოგიის” საბაკალავრო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების 60 ECTS კრედიტიანი პროგრამის არჩევის შესაძლებლობაზე.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სასწავლო მასალა და სწავლის შედეგები ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი წინაპირობებით.

ძირითად შემთხვევაში, ლექტორ-მასწავლებლებს სილაბუსებში მითითებული აქვთ ორი შუალედური შეფასება და გამოცდა. ასევე, სტუდენტები ფასდებიან ლექციებისა და სემინარების დროს განხორციელებული აქტივობებით. სილაბუსებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკა მორგებულია საგნის სპეციფიკას და სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას აძლევს.

კომპოზიციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველებსთვის დაშვების წინაპირობაა: ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი; ბ) შემოქმედებით ტურებისა (სპეციალობასა და მუსიკის თეორიაში) და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. . კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია აკადემიური ხარისხის მქონე მუსიკოს – კომპოზიტორის მომზადება, რომელიც შეძლებს:

- ისტორიული მუსიკალური სტილების გააზრებასა და სხვადასხვა სტილისა და ეპოქის კომპოზიციური თეორიებისა და ტექნიკების გამოყენებას;
- შეძლებს შექმნას მუსიკალური ნაწარმოები მცირე და დიდი ანსამბლებისათვის, სოლო შემსრულებლებისა და ორკესტრისთვის, თეატრის, კინოსა და ვიდეო ინდუსტრიისთვის;
- შემდგომ საგანმანათლებლო და პროფესიულ საქმიანობას მუსიკასთან დაკავშირებულ სფეროებში;

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს კომპოზიტორის სტატუსით მუსიკალურ და დრამატულ თეატრებში, კინოსტუდიებში, რადიო - ტელევიზიაში. ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს შეუძლია მოღვაწეობა დაიწყოს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მასწავლებლისა და მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით დამატებით სპეციალობებს, რაც კიდევ უფრო აფართოებს სტუდენტთა დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

კომპოზიციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას უქმნის კურსდამთავრებულს დასაქმდეს შესაბამისი სპეციალობით მუსიკალური განათლების საშუალო რგოლში მასწავლებლად, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგნის მასწავლებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (კომპოზიცია. მაგისტრატურა)

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელთაგან 70 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კომპონენტებზე, 20 კრედიტი არჩევით დისციპლინებზე, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემოქმედებით პროექტს და თეზისს.

2012 წელს აკრედიტებული და ამაჟამად მოქმედი კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამისაგან განსხვავებით მოდიფიცირებული სასწავლო კურიკულუმი უფრო მეტად კონცენტრირებულია გამოყენებით ასპექტებზე, რაც გამოიხატება პრაქტიკაზე დაფუძნებული სასწავლო კურსებში. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ისწავლება კვლევის მეთოდების ორი სპეციფიკური კურსი: 1) კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია მაგისტრანტს გააცნოს კვლევის სოციალური მეთოდები, დარგობრივი კვლევის მეთოდები და გაახსენოს აკადემიური წერის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც მომავალში გამოადგენა თეზისის გაფორმებისას; 2) მხატვრული კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია სწორედ რომ დარგისათვის აქტუალური და თანამედროვე კვლევის მეთოდი - კვლევა ხელოვნების გზით, გააცნოს მაგისტრანტს. აღნიშნული კურსების საფუძველზე მიღებული ცოდნის გამოყენებით მაგისტრანტი შეძლებს აირჩიოს და შემდეგ ჩამოაყალიბოს კვლევის ის მეთოდოლოგია, რომელიც ყველაზე ორგანული იქნება მისი კვლევის ობიექტისათვის.

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირები. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში.

კომპოზიციის პროგრამის მიზანია აკადემიური ხარისხის მქონე მუსიკოსის, კომპოზიტორის მომზადება, კერძოდ:

- საკომპოზიციო მიმართულებით გამოცდილების გაძლიერება და მხატვრული შემოქმედების უნარების განვითარება;
- მუსიკალური ენისა და ტერმინოლოგიის ფუნქციური ცოდნის გაღრმავება;
- მუდმივად ცვალებად გარემოში ადაპტირების, დამოუკიდებელად სწავლისა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ავტონომიის განვითარება.

კურსდამთავრებული მაგისტრი შეიძლება დასაქმდეს კომპოზიტორის სტატუსით მუსიკალურ და დრამატულ თეატრებში, კინოსტუდიებში; მოღვაწეობა განახორციელონ შემოქმედებით და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც განსაზღვრულია შესაბამის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (კომპოზიცია. დოქტორანტურა)

კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 35 ECTS კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. განსხვავებით 2011 წელს აკრედიტებული მოქმედი სადოქტორო პროგრამისაგან, რომლის სასწავლო კომპონენტები გულისხმობდა: აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკას, პედაგოგიკის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, ალტერნატიულ სპეციალურ სასწავლო კურსებს და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კურსებს, განახლებული სადოქტორო კურიკულუმი ორიენტირებულია მიზნობრივი შედეგების განვითარებაზე და მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს მინიმალური საკონტაქტო საათებით: ა) სწავლების მეთოდები; ბ) კვლევის მეთოდები; გ) მეცნიერების მენეჯმენტი. სასწავლო კომპონენტის ნაწილია დოქტორანტის სემინარი და პროფესორის ასისტირება.

მოდიფიცირებულ პროგრამაში სიახლეს წარმოადგენს არჩევითი სასწავლო კურსების ამოღება და მათ ნაცვლად საკუნსულტაციო საათების ინიცირება. „პრაქტიკამ აჩვენა, რომ სხვადასხვა გამოცდილების

მქონე დოქტორანტი განსხვავებული საჭიროების წინაშე დგება. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მეტი თავისუფლება, საკონსულტაციო საათების ფარგლებში ინდივიდუალურად შერჩეული ტრენინგის თემატიკა და ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო და კვლევით პროცესს და ხელს შეუწყობს კვლევითი აქტივობების განხორციელებას.“ - იკითხება თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი შენარჩუნებულია უცვლელად და მოიცავს დოქტორანტის 3 კოლოკვიუმს, რომელთა ფუნქციაა მოახდინოს სტუდენტის მიერ წარმოებული სამუშაოს პერიოდული მონიტორინგი და განმავითარებელი შეფასება. კოლოკვიუმების ფარგლებში შეფასება არის პირობითი, იძლევა დოქტორანტის პროგრესის შესახებ ინფორმაციას და კვლევის შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის სავალდებულო ელემენტებს, როგორებიცაა: სულ მცირე ერთი საავტორო კონცერტის გამართვა; ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და უკუკავშირს/რეფლექსიას; ასევე, მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ, ან რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში; მინიმუმ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც ფლობენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს კომპოზიციის მიმართულებით ან მონათესავე დარგში.

ასევე, აპლიკანტმა უნდა გაიაროს გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან. დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება ითვალისწინებს აპლიკანტის შემოქმედების პრეზენტაციასა და კვლევითი განაცხადის წარდგენას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპოზიციის სპეციალობით მოამზადოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი კომპოზიტორი. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის და შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებული მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევარის მომზადებას.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული საკომპოზიციო და სამეცნიერო-შემოქმედებითი უნარები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად წარმართოს შემოქმედებითი-სამეცნიერო სამუშაო, გაუძღვეს სალექციო კურსებს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია და მორგებულია შესასწავლი კურსის სპეციფიკას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგია. ბაკალავრიატი)

კლასტერულ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 2012 წლიდან კონსერვატორიაში მოქმედებდა მუსიკა და დღევანდელი საბაკალავრო პროგრამის ქუდის ქვეშ, რომელიც ითვალისწინებდა 3 მიმართულებას – მუსიკის ტექნოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა და მუსიკის მენეჯმენტი. აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებაზე და ითვალისწინებს შესაბამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთაგან 120 ECTS მოდის სპეციალობის ძირითად საგნებზე, მათ შორის დარგობრივ პრაქტიკასა და საბაკალავრო პროექტზე, 56 ECTS კრედიტი თეორიულ მუსიკალურ სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 11 ECTS კრედიტი დათმობილია კონსერვატორიის სავალდებულო სასწავლო დისციპლინებზე, ხოლო 43 კრედიტი - თავისუფალ და არჩევით დისციპლინებზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; აბიტურიენტთა პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნაა მუსიკალურ-სმენითი უნარების შეფასება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე. პროგრამა ითვალისწინებს მუსიკის კლასიკური სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტერდისციპლინურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს დარგის თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ესთეტიკის, ხმის ანალიზის, დამუშავების, სინთეზისა და კონტროლის მოქნილი სტრატეგიების ცოდნას. ასევე, მუსიკალური სისტემების გამოთვლითი მოდელირების, ცხოვრების მანძილზე მუსიკის შემეცნების, ტექნოლოგიასა და მუსიკალურ ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირების უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მუსიკალურ ინდუსტრიაში დასაქმებას და/ან სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, შემდეგი მიმართულებებით: ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია, მუსიკის წარმოება (Music Production), მუსიკის ჩაწერა, აუდიო ინჟინერია, აუდიო დიზაინი, მულტიმედიური და თამაშის მუსიკალური დიზაინი, აპარატურის/პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი (Hardware/Software Design), ფილმისა და მედიის გახმოვანება, მუსიკის ბიზნესი და სხვ.

სტუდენტის შეფასება მოიცავს როგორც განმავითარებელ, ასევე შემაჯამებელ შეფასებებს, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია და შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგია. მაგისტრატურა)

მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელთაგან 77 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კომპონენტებზე, 13 კრედიტი არჩევით დისციპლინებზე, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტზე, რომელიც ეფუძნება მხატვრული კვლევის (Artistic Research) პრინციპებს.

ამაჟამად მოქმედი მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამისაგან განსხვავებით მოდიფიცირებული სასწავლო კურიკულუმი მნიშვნელოვანწილად არის ორიენტირებული გამოყენებით ასპექტებზე, რაც გამოიხატება პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო კურსებში, მაგ: საპროექტო ეტაპი 1, 2 და 3. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სასწავლო კურსის მხატვრული კვლევის მეთოდოლოგიის დამატება, რომლის მიზანია სწორედ დარგისათვის აქტუალური და თანამედროვე კვლევის მეთოდის - კვლევა ხელოვნების გზით, გააცნოს მაგისტრანტებს. აღნიშნული პროგრამა მუშაობს 2017 წლიდან ავტორიზებულ რეჟიმში.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ზემოხსენებული პროგრამების შინაარსმა და მისანიჭებელმა კვალიფიკაციებმა განიცადა ცვლილება, რომლებიც შეესაბამება მუსიკის დარგობრივ მახასიათებელსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გასაუბრებით ან შესაბამისი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები;
- კონსერვატორიის შემოქმედებითი ტური. შემოქმედებითი ტური ამოწმებს იმ სპეციფიკურ ცოდნასა და მუსიკალურ უნარებს, რომელთა ფლობა უცილებელია მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართვისთვის და რომელთა გარეშე ვერ მოხდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა. შემოქმედებითი ტური გულისხმობს ა) შემოქმედებით პროექტის ვერბალური აღწერის ტექსტის წარდგენას, ბ) აპლიკანტის განვლილი შემოქმედებითი აქტივობების პორტფოლიოს.

საგამოცდო პირობები და შეფასების კრიტერიუმები ზედმიწევნითაა გაწერილი მისაღებ მოთხოვნებში.

მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მუსიკალურ ინდუსტრიაში დასაქმებას და/ან სწავლის გაგრძელებას მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, უფრო კონკრეტულად პროგრამა მიზნად ისახავს შემოქმედებით-პრაქტიკული კომპონენტების ათვისებისა და დაუფლების გზით სტუდენტებს შესთავაზოს:

- მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით შემოქმედებითი პროექტის მაღალკვალიფიციური განხორციელება.
- მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით დარგობრივი, ზოგადმუსიკალური და მულტიდისციპლინური ცოდნის გაღრმავება;
- არტისტული კვლევისათვის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება;

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც მოცემულია შესაბამის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო პროგრამები

სტრატეგიული განვითარების გეგმა

თვითშეფასების ანგარიში

საგნობრივი სილაბუსები

საათობრივი დატვირთვის რუკა

კათედრების შეხვედრის ოქმები

ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- წლის დასაწყისში სტუდენტებს გასაცნობად უნდა გაეგზავნოს სასწავლო პროგრამა (კურიკულუმები) და სილაბუსები.
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მინიმალური ბარიერის გაზრდა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებში. სამ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა უნდა განისაზღვროს, როგორც მოთხოვნა სამი აკადემიური წლის განმავლობაში მომავალი მეცნიერისთვის, პროფესიონალისთვის, რომელსაც სურს დასაქმდეს უმაღლეს სასწავლებლებში, აპირებს გააგრძელოს სამეცნიერო კვლევა, პოსტდოქტორანტურ პროექტზე მუშაობა.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- საგნობრივი პროგრამები (კურიკულუმები) და სილაბუსები წლის დასაწყისში გასაცნობად გადაეგზავნოთ სტუდენტებს.
- წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებში ჩაემატოს სადიპლომო ნამუშევრის აღწერა და შეფასების კრიტერიუმები.
- სადოქტორო პროგრამების მოთხოვნებში საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მინიმალური ზღვარი გაიზარდოს. ვინაიდან, მომავალ მეცნიერს, პროფესიონალს, რომელსაც სურს დასაქმდეს უსდ-ში, გააგრძელოს სამეცნიერო მიმართულებით კვლევა, პოსტ სადოქტორო პროექტზე მუშაობა, სამი სასწავლო წლის მანძილზე მოთხოვნად განესაზღვროს, სამ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამის სილაბუსში ჩაემატოს და შეივსოს სადოქტორო კვლევის კომპონენტების ველი. (სარეკომენდაციოდ იხ. კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის სილაბუსი)

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მუსიკოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევები, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიცია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიცია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიცია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი მჭიდრო კავშირშია პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ინფორმაცია ვიზუალურად არის წარმოდგენილი პროგრამის რუკებში, სადაც ფიქსირდება თითოეული სასწავლო კურსის მნიშვნელობა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით.

სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განაწილება კარგად არის უზრუნველყოფილი, ითვალისწინებს თითოეული კურსის განსხვავებულობას და მის როლს სასწავლო გეგმის ჩარჩოს ფარგლებში. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის ბალანსი თითქმის ყველა კურსში გააზრებულად არის განსაზღვრული, ერგება სწავლების დონეს და თავად კურსის უნიკალურ მახასიათებლებს. საკონტაქტო საათების განაწილება, სასურველი სასწავლო შედეგების შესაბამისად, ზუსტად ასახავს კურსის შინაარსის სიღრმესა და მასშტაბს. ბაკალავრიატის დონეზე, რამდენიმე კურსს ენიჭება მოკრძალებული 2-3 კრედიტი, რაც ზღუდავს დამოუკიდებელი სწავლისთვის არსებულ დროს. თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ეს კურსები არსებითად პრაქტიკული ხასიათისაა, დაფუძნებულია „კეთებით სწავლის“ პედაგოგიურ მიდგომაზე და მათი შეფასებები უპირველეს ყოვლისა აფასებს სტუდენტების მიერ ინტერაქტიული სემინარების დროს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში მიღებული ერთიანი წესით და მოიცავს სრულ ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, შედეგების, შინაარსისა და შეფასების, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც დარგის თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით პერიოდულად ახლდება, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და ასევე უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის ჯგუფის მიერ გამოვლენილი იქნა მცირედი, შესაძლოა ტექნიკური უზუსტობები, რომელის შესახებაც მოგახსენებთ რჩევებში.

სილაბუსთა უმრავლესობას აქვს წინაპირობები, ცალსახად განსაზღვრული წინმსწრები საგანი, რომელიც აუცილებელია კურსისთვის. ბევრ კურსში ნახსენებია რიგი აქტიური სწავლის სტრატეგიები, როგორებიცაა ლექციები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები და პრაქტიკული გაკვეთილები, მრავალი სილაბუსის შინაარსის ნაწილი, ამ მეთოდების კონკრეტულ განხორციელებასთან დაკავშირებით, დაკონკრეტებულია, შეტანილია სასემინარო აქტივობები. მოწოდებული სალექციო თემების სია განვრცობილია და ჩაშლილია საათობრივი დატვირთვის მიხედვით, ლიტერატურის გვერდების მითითებით. კურსებში მოწოდებული მრავალი სავალდებულო საკითხავი მასალა გამოიცა XX საუკუნეში, რაც პოტენციურად ვერ მოიცავდა შესაბამისი დარგის უახლეს მიღწევებს. შესაბამისად, ლიტერატურის მუდმივი განახლება შეიმჩნევა თითოეულ სილაბუსში. გარდა ამისა, სქოლიოში შესამჩნევია თანამედროვე კვლევითი სტატიებისა და ონლაინ რესურსების სიუხვე. ექსპერტები თანხმდებიან ფუნდამენტური და კლასიკური ტექსტების მნიშვნელობაზე, რომლებიც ქმნიან კურსის მასალის საფუძველს, თუმცა, სილაბუსებისთვის აუცილებელია 21-ე საუკუნეში გამოცემული წიგნების მუდმივი განახლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის უახლესი და რელევანტური შეხედულების მიწოდებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა უნდა გაძლიერდეს დარგის გავლენიანი უცხოელი მოღვაწეების კვლევების დამატებით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება თარგმანებით ან მათ ორიგინალ ენაზე. უნდა აღინიშნოს, ადგილზე ჩატარებული გასაუბრებების უკუკავშირი ცხადყოფს უფრო პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ვიდრე მხოლოდ სილაბუსებიდან ჩანს. ხელმძღვანელები იყენებენ სწავლების მრავალმხრივ მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფენ გამოცდის სპეციფიკის შესახებ სტუდენტების კარგად ინფორმირებას, რაც შესაბამისად, ინტეგრირებულია სილაბუსებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მუსიკოლოგია, ბაკალავრიატი)

მუსიკოლოგიის პროგრამაში, სწავლის ძირითადი მიმართულებაა ცოდნის შექმნა, რომელიც მიღწევადია სავალდებულო საგანმანათლებლო პროფესიული-შემოქმედებითი ბლოკით, რომელიც ცნობილია როგორც მუსიკოლოგიის მოდული. ეს მოდული აერთიანებს სასწავლო კურსებს, რომლებიც კარგად არის მორგებული თითოეულისთვის შესაბამისი პროფილის ან სპეციალობის უნიკალურ მახასიათებელთან. აღნიშნული ძირითადი მოდული მოიცავს რვა სემესტრს და წარმოადგენს სასწავლო გეგმის განუყოფელ კომპონენტს.

მოდული მოიცავს ოთხ განსხვავებულ კვალიფიკაციას: მუსიკის ისტორია, თეორია, ხალხური და საეკლესიო მუსიკა, განათლების საფეხურის მე-6 დონის შესაბამისად თითოეულში სიღრმისეული ცოდნის მისაღებად საგნები გადანაწილებულია რამდენიმე სემესტრზე.

პროგრამა დასკვნით სემესტრში მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც უსწრებს კვლევის მეთოდების სასწავლო დისციპლინა. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წინასწარი კონსულტაციები გაიარონ სავარაუდო ხელმძღვანელებთან, რაც ხელს შეუწყობს თემის შერჩევას და მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვას.

უნდა აღინიშნოს დამატებითი პროგრამების ინტეგრირების საკითხი, რაც სიახლეა აღნიშნული პროგრამისათვის და დასაქმების სხვა შესაძლებლობებს წარმოაჩენს. (მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამები). აღნიშნული მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ მიეცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, კომპეტენციის შესაბამისი ცოდნა-უნარები და პრაქტიკული გამოცდილება. მოცემული კურსის დასრულების სერტიფიკატის ან დიპლომში შესაბამისი ჩანაწერის აღნიშვნის შემდეგ, რომელსაც თან უნდა დაურთოს საგნის კომპეტენციის დადასტურების ცნობა, დოკუმენტაცია გაიზიარება დამსაქმებელი სკოლის მიერ პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში და უმოკლეს ვადაში დასტურდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება.

მუსიკის ტექნოლოგიის კურსი კი დასაქმების სხვა არეალს წარმოუჩენს კურსდამთვრებულებს, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას მუსიკალური ინდუსტრიის სფეროში. შეისწავლიან მუსიკის წარმოებას, ჩაწერას, აუდიო ინჟინერიას, აუდიო დიზაინს, ფილმისა და მედიის გახმოვანებას და სხვ.. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზანი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან. კრედიტების რაოდენობა საკმარისია მოცემული კურსების სრულად ათვისებისათვის. შეფასების სისტემა რელევანტურია შესასწავლ კურსებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია და მორგებულია თითოეული კურსის შესასწავლ თემებს და საბოლოოდ საგნის სწავლების მიზანს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს მისანიჭებელ სამ კვალიფიკაციას: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკოლოგიაში / Master of Music (MMus) in Musicology ; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში / Master of Music (MMus) in Ethnomusicology; სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში / Master of Music (MMus) in Church Music. აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსები და სილაბუსები სასწავლო და კვლევით კომპონენტებში წარმოდგენილია 2,3,4,5 კრედიტით, რაც ლოგიკურია და შეესაბამება სტუდენტთა დატვირთვას. მოცემული კურსები, სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე იძლევა სიღრმისეულ ცოდნას პროგრამის ფარგლებში. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, არჩევითი საგნების ჩამონათვალი და კრედიტები გადანაწილდა ისე, რომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს არაუმეტეს 7-8 სასწავლო დისციპლინისა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხშირ შემთხვევაში ორ შუალედურ და საბოლოო გამოცდას 100ქულის ფარგლებში. შეფასების რუბრიკები დეტალიზებულია შესასწავლ თემებთან კონტექსტში. შეფასების მოცემული სქემა, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს ზუსტად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დონე და გასაუმჯობესებელი მხარე. სილაბუსების აღწერილობაში მოცემულია სწავლების მეთოდოლოგია და სავარაუდო დასაქმების შესაძლებლობის ჩამონათვალი. სამაგისტრო ნაშრომის შექმნის, წარდგენის, შეფასების, გაფორმების წესი მოცემულია შესაბამის დოკუმენტში, რაც წარმოდგენილია აკრედიტაციის კომისიის წინაშე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)

მოცემულ სადოქტორო პროგრამაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა კრედიტების დაგროვების მინიმუმამდე დაყვანა (სულ 35 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება. საერთო სასწავლო კურსები სამი დისციპლინითაა წარმოდგენილი: მეცნიერების მენეჯმენტი / Science Management; კვლევის მეთოდები / Research methods; სწავლების მეთოდები / Teaching Methods. ახალი სადოქტორო დებულების ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ მრავალფეროვანი კონსულტაციები, როგორც საკუთარ ხელმძღვანელებთან, ასევე, მათი კვლევის საჭიროებისათვის კონსერვატორიის სხვადასხვა აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან.

შეფასების რუბრიკები მოცემული სალექციო კურსებისათვის, სემინარის, კოლოქვიუმისა და პროფესორის ასისტირებისათვის დეტალურადაა გაწერილი თითოეულ სილაბუსში. სადოქტორო თემის დაცვის წესი, შეფასება და ა.შ. მოცემულია შესაბამის დოკუმენტში და წარმოდგენილია აკრედიტაციის დოკუმენტაციაშიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს ანუ 8 სემესტრს. სასწავლო პროგრამა განაწილებულია შემდეგნაირად: 240 ECTS

სპეციალობის სავალდებულო საგნები - 105 ECTS კრედიტი; ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსები - 68 ECTS კრედიტი; საფაკულტეტო დისციპლინები - 7 ECTS კრედიტი; არჩევითი და თავისუფალი კრედიტები/ დამატებითი პროგრამები - 60 ECTS კრედიტი; მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი კომპოზიციაში / Bachelor of Music (BMus) in Composition. სასწავლო სილაბუსები თანაბრადაა გაჯერებული პრაქტიკული და თეორიული აქტივობებით. მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, კომპოზიციის პროგრამაშიც ჩაშენებულია ანალოგიური დამატებითი 60 კრედიტიანი პროგრამები. შეფასების სისტემა და რუბრიკები ჩაშლილია მსგავსად, სხვა პროგრამებისა. აღსანიშნავია, ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთობლივი ძალისხმევა პროგრამების შემუშავებას, სილაბუსების სისტემატიზირებასა და შეფასების ჩამოყალიბებული, მკაფიო რუბრიკების შექმნის პროცესში. კურიკულუმით განსაზღვრული კომპონენტები უზრუნველყოფს კვალიფიკაციით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას.

დამატებითი პროგრამების ჩაშენება სასწავლო კურსებში იძლევა დასაქმების შესაძლებლობას რამდენიმე მიმართულებით, რაც ანალოგიურია, მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა, 2012 წელს აკრედიტებული პროგრამისაგან, მნიშვნელოვნად არის გადააზრებული. კერძოდ, სპეციალობის კლასის ტრადიციული სასწავლო კურსების პარალელურად პროგრამა ითვალისწინებს, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ისეთი სპეციფიკური კურსების სწავლებას, როგორებიცაა: მულტიმედიური კომპოზიცია, სპექტაკლისა და კინოფილმის მუსიკალური გაფორმება. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის მეთოდების ორ სავალდებულო კურსს, რომელთაგან ერთ-ერთი არის მხატვრული კვლევის (Artistic Reserch) მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდების შემსწავლელი მეორე დისციპლინა კი ითვალისწინებს სოციალური კვლევის მეთოდების, დარგობრივი კვლევის მეთოდებისა და პროექტის/საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების სწავლებას. დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო პროექტი, რომლის ერთი ნაწილი წარმოადგენს პრაქტიკულ შემოქმედებით აქტივობას (მაგისტრანტმა უნდა შექმნას კომპოზიცია), ხოლო მეორე ნაწილი ამ შემოქმედებით აქტივობასთან დაკავშირებულ წერით კომპონენტს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი კომპოზიციაში / Master of Music (MMus) in Composition / 120 ECTS.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მუსიკის არანჟირების, კომპოზიტორის ასისტენტის, სცენის, ფილმის, თეატრის, ვიდეოთამაშების, ტელევიზიისა და რადიოს კომპოზიტორის, სამხატვრო ხელმძღვანელის, დირიჟორის, ორკესტრატორის, კორექტორის, ტრანსკრიფტორის და სხვა პოზიციებზე. ასევე კულტურის სფეროს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)

კომპოზიციის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, სადოქტორო ნაშრომის გაფორმების წესი და დაცვის პირობები. ძირითადი სასწავლო კურსები და ტრენინგ-კონსულტაციები არჩეულ ხელმძღვანელ/ებ/თან და ასევე, საჭიროების შემთხვევაში უსდს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კონსულტაციები საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, უცვლელია. შეფასების სისტემა და რუბრიკებიც იდენტურია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპოზიციის დოქტორი / Doctor of Composition. ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა 35 ETSC. კომპოზიციის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს საშემსრულებლო/შემოქმედებით პრაქტიკასა და სადისერტაციო ნაშრომს, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 70 გვერდზე (A4) ნაკლებს; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ფარგლებში, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

- სულ მცირე ერთი საავტორო კონცერტის გამართვას;
- ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და უკუკავშირს/რეფლექსიას;
- სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ, ან რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
- სულ მცირე ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული საკომპოზიციო და სამეცნიერო-შემოქმედებითი უნარები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად წარმართოს შემოქმედებითი-სამეცნიერო სამუშაო, გაუმღვეს სალექციო კურსებს.

დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში Bachelor of Music (BMus) in Music Technology.

პროგრამაში კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 120 ECTS - სპეციალობის ძირითადი საგნები, მათ შორის დარგობრივი პრაქტიკა 10 ECTS და საბაკალავრო პროექტი 10 ECTS კრედიტი; 56 ECTS - სპეციალობის მხარდამჭერი საგნები; 11 ECTS - საფაკულტეტო სავალდებულო საგნები; 43 ECTS - თავისუფალი და არჩევითი საგნები; (240 ECTS). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს ანუ 8 სემესტრს.

პროგრამა ითვალისწინებს მუსიკის კლასიკური სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების

ინტერდისციპლინურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს დარგის თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ესთეტიკის, ხმის ანალიზის, დამუშავების, სინთეზისა და კონტროლის მოქნილი სტრატეგიების ცოდნას. ასევე, მუსიკალური სისტემების გამოთვლითი მოდელირების, ცხოვრების მანძილზე მუსიკის შემეცნების, ტექნოლოგიასა და მუსიკალურ ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირების უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მუსიკალურ ინდუსტრიაში დასაქმებას და/ან სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, შემდეგი მიმართულებებით: ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია, მუსიკის წარმოება (Music Production), მუსიკის ჩაწერა, აუდიო ინჟინერია, აუდიო დიზაინი, მულტიმედიური და თამამის მუსიკალური დიზაინი, აპარატურის/პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი (Hardware/Software Design), ფილმისა და მედიის გახმოვანება, მუსიკის ბიზნესი და სხვ. პროგრამის სტრუქტურა მოდიფიცირებულია და გაზრდილია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსების მოცულობა. სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები: ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები; სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად; სწავლება პროფესიულ გარემოში - კონსერვატორიის მცირე და დიდი დარბაზები, ხმის ჩამწერი სტუდია (მაგ: LENO Records); TAFU TV, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ელექტრონული მუსიკის კლუბები (მაგ: ბასიანი). პროფესიული მასტერკლასები;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში/Master of Music in Music Technology (120 ECTS). პროგრამის სტრუქტურა: სავალდებულო სასწავლო კურსები - 77 კრედიტი; სამაგისტრო პროექტი (მხატვრული კვლევა) - 30 კრედიტი; არჩევითი საგნები - 13 კრედიტი. მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით/პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რესურსის ჩამონათვალი მოცემულია მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აღწერისას. პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. ენის შესწავლა სტიდენტებმა უნდა მოახერხონ ბაკალავრიატის საფეხურზე, მოცემული ენის შემსწავლელი სილაბუსის მიხედვით. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში ენის ცოდნის მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა, თუმცა, აღნიშნეს, რომ აბიტურიენტობის პერიოდში კერძო მომზადებისას მიღებული ცოდნის შედეგია. სტუდენტებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ენის შემსწავლელი კურსების პროგრამა დასახვეწია და მოსარგებია პროგრამის შინაარსს, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ მუსიკალური მასალის დასამუშავებლად საჭირო ტექსტუალური დავალებები, რაც მათ, საბოლოოდ, სტატიების, ნაშრომების, სახელმძღვანელოების ორიგინალში კითხვის და თარგმის პრობლემების აღმოფხვრაში დაეხმარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კლასტერის პროგრამები
სილაბუსები
თვითშეფასების ანგარიში

რუკები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, უცხო ენების სწავლების ეფექტიანობისთვის ძირითად რეკომენდირებულ ლიტერატურას დაემატოს სპეციალიზირებული ტექსტები მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენებით. სათარგმნად და გასააზრებლად დამუშავდეს შესაბამისი დონის სამუსიკო ხელოვნების სფეროში გამოქვეყნებული სტატიები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მუსიკოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (მუსიკოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევები, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიცია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიცია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიცია, დოქტორანტურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დაშვების კრიტერიუმები რეგულირდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე დარგობრივი მახასიათებლებით. დაშვების კრიტერიუმები არის სამართლიანი, საჯარო და გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკაზე დაფუძნებული პროგრამებისთვის, რომლებმაც უნდა მიიღონ კონკრეტული უნარების მქონე კანდიდატები. სხვა სახელოვნებო დარგების მსგავსად, აღნიშნული პროგრამებისათვის დამახასიათებელია საშემსრულებლო ტური, რომელიც წინ უსწრებს ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებს. საშემსრულებლო ტურის გავლა არის სავალდებულო მოთხოვნა საერთაშორისო და ეროვნული მობილობების დროსაც. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების შესახებ განთავსებულია კონსერვატორიის ვებგვერდზე, ინფორმაციის გავრცელება ხდება სოციალური ქსელების საშუალებითაც. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდებათ ღია კარის დღეებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე. ინფორმაცია შემოქმედებითი კონკურსის დროს, განრიგის, ფორმატის, შეფასებისა და სხვა სპეციფიკის შესახებ ქვეყნდება წინასწარ და არის ნათელი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კანდიდატებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ მათთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი შემოქმედებითი კონკურსის პროცესის დაწყებამდე. გარდა ამისა, გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შემოქმედებითი კონკურსის მთელი პროცესი გადაღებულია იმისთვის, რომ აბიტურიენტს ჰქონდეს აპელაციის შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი ნიშნით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების მოთხოვნები ყოველთვის მაღალი იყო და მხოლოდ საუკეთესო მონაცემებით დაჯილდოვებული სტუდენტების მიღება ხდებოდა, ვინაიდან კონკურენციის პირობებში უწევდათ გამოცდების ჩაბარება. ეს მოთხოვნები ეხებოდა როგორც სპეციალობის, ასევე თეორიული დისციპლინების გამოცდებს და მისაღებ კონტიგენტს, მათ თანაბრად უნდა ჰქონოდათ ცოდნა თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. პროგრამის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, გამარტივდა სტუდენტთა მიღების წესი თეორიული გამოცდის მიმართულებით, რისი საჭიროებაც დადგა ა) სტუდენტთა დაბალი მიმართვიანობის გამო, რაც რამდენიმე ფაქტორით არის ახსნილი. დასაქმების უპერსპექტივობა, დაბალი სახელფასე ანაზღაურებები, პროფესიის სირთულე და ა.შ. ბ) სამუსიკო სასწავლებლების გაუქმებამ გამოიწვია მოსწავლეთა არასრულფასოვანი განათლება. სამუსიკო სკოლა ვერ აძლევს მოსწავლეს ისეთ ცოდნას, რაც მას დაეხმარება დამლიოს უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში არსებული გამოწვევები. აკრედიტაციის შემდგომ, ხარისხის სამსახური დაგეგმავს აქტივობებს, კონტიგენტის მოზიდვის

თვალსაზრისით და დახვეწავს პროგრამებზე დაშვების წინაპირობებს. შეიმუშავებს შესაბამის LLL პროგრამებს.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი 2.1 ინდიკატორის სრული აღწერილობა პროგრამების მიხედვით ნათელი და მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის. მითუმეტეს, რომ პროგრამებზე და შესასწავლ საგნებზე დაშვების წინაპირობა წარმოდგენილია სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევა და შემოქმედებითი მხატვრული პროდუქტის შექმნა არის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და ისინი შეესაბამება ყველა სასწავლო სფეროს. პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა გზით. სასწავლო პროგრამების ძირითადი მიმართულებების სავალდებულო მოდულები ორიენტირებულია პროფესიისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ- ჩვევების შექმნაზე. სამივე საფეხურის (ე.ი. ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მასტერკლასში, ვორკშოფსა და სტუდენტურ კონფერენციაში, რომლებიც ეწყობა და იგეგმება შესაბამისი პროგრამების სასწავლო შედეგების შესაბამისად. მხატვრული შემოქმედებისა და კვლევის პროგრესს ხელმძღვანელობენ და აფასებენ ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე. სამეცნიერო და შემოქმედებითი სტანდარტები და მეთოდოლოგიები თითოეულ სასწავლო პროგრამაზე კლასტერის ქოლგის ქვეშ არის გაერთიანებული. დადგენილია მხატვრული შემოქმედებითი პროდუქციის და კვლევის შედეგების შეფასების მეთოდები.

თვითშეფასების ანგარიშიდან და მასთან დაკავშირებული დოკუმენტებიდან, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციიდან კარგად ჩანს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი წარმოებისა და კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვანი დონე. პედაგოგები მონაწილეობენ შიდა და საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს, რომლებიც ეხება კურსებისა და სასწავლო პროგრამების შინაარსს.

ადგილზე გასაუბრებისას ექსპერტთა პანელმა შეიტყო, რომ დოქტორანტების სტატიები ქვეყნდება ჟურნალებში უნივერსიტეტის დახმარებით და მხარდაჭერით. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს მოუწოდებენ წარადგინონ საგრანტო წინადადებები და მიიღონ მონაწილეობა ERASMUS+ მობილობის პროგრამაში, ბევრი სტუდენტი იყენებს ამ შესაძლებლობებს.

სასწავლო პროცესის ფარგლებში, სტუდენტები პირველივე კურსიდან უშუალოდ არიან ჩართულნი სხვადასხვა შემოქმედებით წარმოებებში და პროექტებში, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კვლევით პროექტებში. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შეიცავს აკადემიური წერის კურსებს. სილაბუსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ გვთავაზობს საკმაოდ მყარ საფუძველს კვლევისთვის და მეთოდოლოგიის შესაბამის ცოდნას. სასარგებლო იქნებოდა Frascati Manual 2015 შეტანა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში.

თვითშეფასების ანგარიშსა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები ორგანიზებულია სასწავლო დონისა და პროგრამების დაგეგმილი სწავლის შედეგების შესაბამისად. პროცესი მიმდინარეობს ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმების, სტუდიური მუშაობის, ყოველდღიური სწავლების, პრაქტიკულ-შემოქმედებითი მეცადინეობებისა და რეპეტიციების სახით. სტუდენტები მონაწილეობენ ხელოვნების პროდუქტების შექმნაში და ავითარებენ პროფესიონალურ უნარებს, როგორც თეორიული ლექციების, ასევე პრაქტიკული სწავლების გზით.

გაფორმებული მემორანდუმები, დაგეგმილი ვორქშოფები, მასტერკლასები, სემინარები, კონცერტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა წამყვან მუსიკალურ უმაღლეს დაწესებულებებში, როგორცაა ნორვეგიის მუსიკის აკადემია, ბრიუსელის კონსერვატორია და სხვ. მოწმობს როგორც სტუდენტთა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს მობილობებს მსოფლიოს წამყვან სასწავლებლებში, ასევე, პროფესორ-მასწავლებელთა მუდმივ გადამზადებას, კავშირებს და გამოცდილების დაგროვებას. დაწესებულება გეგმავს, უკვე არსებული კავშირების შენარჩუნება-გაღრმავებას და ასევე, ახალი კონტაქტების დამყარების საჭიროებაზე საუბრობს.

მისასალმებელია, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსს აქვს კვლევის კომპონენტი მოხსენების ან საკურსოს სახით, რაც ხელს უწყობს კვლევის კომპონენტის განვითარებას. როგორც დამსაქმებლები აღნიშნავენ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ხარისხი მაღალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მასალები;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, Frascati Manual 2015 შეტანა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გამოიყენება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. პროგრამებში თეორიული და პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსების ერთობლიობა ქმნის გარკვეულ ბალანსს და აწვდის სტუდენტებს მყარ ჰუმანიტარულ განათლებას და ამავდროულად ამზადებს მათ მათთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით სამომავლო კარიერისთვის ხელოვნების სფეროში. ეს მიდგომა ხელს უწყობს ჰოლისტური სწავლის გამოცდილებას, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ გაგებას, ასევე პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამებში გამოყენებული სწავლების მეთოდების მასშტაბი ფართოა და ძირითადად ტრადიციული. ლექციისა და სემინარის ფორმატი ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ინტერაქტიულ დისკუსიებს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური, ხელს უწყობს პრაქტიკულ სწავლებას და თანამშრომლობას. მეთოდებს შორის ნახსენებია ელექტრონული სწავლება როგორც სწავლის ელექტრონული რესურსი, მაგრამ პროგრამისთვის კარგი იქნება ინოვაციური სახეობების დამატება: ა) შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი: 1) წინასწარ ჩაწერილი ვიდეო ლექციები. სტუდენტებს შეუძლიათ მეცადინეობაზე მოსვლამდე უყურონ ამ ლექციებს საკუთარი ტემპით და შემდეგ საკლასო დრო დაუთმონ მათ განხილვას; 2) ონლაინ დისკუსიები: ონლაინ სადისკუსიო ფორუმების ან პლატფორმების გამოყენება, რაც გაამარტივებს დისკუსიებს მეცადინეობამდე. სტუდენტებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი აზრები, კითხვები და კომენტარები დავალებულ საკითხებზე და ვიდეო ლექციებზე; . სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული სწავლების აქტივობები მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას, თანამშრომლობით სწავლას, ევრისტიკულ მეთოდებს, შემთხვევის შესწავლას, გონებრივ იერიშს, როლურ თამაშებს და სიტუაციურ თამაშებს. ეს აქტივობები ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, კრეატიულობას და აქტიურ ჩართულობას, რაც სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს ხდის.

სამაგისტრო დონეზე გადასვლისას, პროგრამების პრიორიტეტი კვლევის, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარება ხდება. ეს აქცენტი შეესაბამება უმაღლესი განათლების

მოლოდინებს და ამზადებს სტუდენტებს მოწინავე აკადემიური და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. გარდა ამისა, კლასებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, როგორცაა საკუროსები, გამოსაშვები პროექტები და თეორიული და შემოქმედებითი პროექტების პრეზენტაციები, ავლენს შეფასების მრავალფეროვან მიდგომას.

ინტენსიური სემინარის ტრენინგზე და პრაქტიკაზე გაკეთებული აქცენტი მნიშვნელოვანია დოქტორანტებისთვის. ეს მეთოდები საშუალებას აძლევს მათ ჩაეფლონ პრაქტიკულ გამოცდილებაში და გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ სამყაროში. ინდუქციური და დედუქციური სწავლების მეთოდების კომბინაცია, განსაკუთრებით კონკრეტულ დისციპლინებში, გვთავაზობს მრავალმხრივ მიდგომას პრობლემის გადაჭრისა და კვლევის მიმართ. დოქტორანტებს შორის ჯგუფური მუშაობის გამოყენება ხელს უწყობს თანამშრომლობას და ურთიერთსწავლებას, ქმნის დამხმარე და წამახალისებელ გარემოს ინტელექტუალური და შემოქმედებითი ზრდისთვის.

სადოქტორო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას, წახალისოს დოქტორანტები აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. რასაც დაწესებულება და სტუდენტები წარმატებით ართმევენ თავს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა ორი დოქტორის, პოსტ-სადოქტორო პროგრამით საზღვარგარეთ კვლევის გაგრძელების გამოცდილება, რომელიც დაფინანსდა რუსთაველის ფონდის ეგიდით, კერძოდ ლიდის და გოეთეს უნივერსიტეტებში. პროგრამამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი დოქტორანტების მიერ სადოქტორო გრანტების მიღებას, რომლებიც ხელმისაწვდომია ზემოაღნიშნული რუსთაველის ფონდის ან სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. სტუდენტების მიერ გარე დაფინანსების ძიების წახალისება და მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ცალკეულ პირებს, ისე მთლიანად პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- გასაუბრებების შედეგები;
- პროგრამის მასალები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სტუდენტის შეფასების სქემა რეალისტური და მიღწევადია, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით, პროგრამითა, სილაბუსებით და ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუებით. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. თითოეული კურსის სილაბუსში წარმოდგენილი და გაწერილია სტუდენტის შეფასების ინდივიდუალური მეთოდები, ფორმები და კომპონენტები, ასევე კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებითა და რუბრიკებით კურსის მიღწეული მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასება.

კონსერვატორიაში მოქმედი შეფასების სისტემა, მეთოდები და ფორმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას და ითვალისწინებს შემდეგ სქემას:

ა) ხუთი ტიპის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი- 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი- 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ) ორი ტიპის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა დამატებითი გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;

ბ.ბ) (F)- ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა. რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ბარიერის გადალახვა. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ასახულია კურსის/კომპონენტის სილაბუსებში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის წერისა და დაცვის სახელმძღვანელოში“. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანი საბოლოო შეფასებით. იგივე პრინციპი გამოიყენება საბაკალავრო

ნაშრომისთვისაც. ეს მაშინ, როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში მითითებულია: პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტთა სწავლის შედეგების დონის შეფასება უნდა მოიცავდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებას.

სადოქტორო დონეზე სადისერტაციო ნაშრომისა და დასკვნითი საკონცერტო შესრულების შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სქემით:

- შესანიშნავი – (summa cum laude).
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყოველმხრივ აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს
- საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც ყველანაირად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამო.
- აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების შემდეგ ფორმებს - შუალედურს (ერთჯერადი ან რამდენიმე) და დასკვნით გამოცდას, რომელთა ჯამიც არის საბოლოო ნიშანი (100 ქულა).

საერთო ქულებიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში თითოეული ფორმისა და კომპონენტისათვის ენიჭება გარკვეული წილი, რომელიც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს აკადემიური სემესტრის დასაწყისში. სტუდენტს კრედიტის მოპოვება შეუძლია მხოლოდ დადებითი შეფასებების მიღების შემთხვევაში.

შეფასების კომპონენტები: სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ხარვეზებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. კონსერვატორიაში შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მრავალკომპონენტიანია. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. როგორც ინტერვიუების უმრავლესობაზე აღინიშნა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე

დიდი გაუმჯობესება ბოლო აკრედიტაციის პროცესის შემდეგ. სტუდენტები, სწავლის ყველა დონეზე, იღებენ პედაგოგებისაგან გამოხმაურებას მათი პროგრესის შესახებ.

უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლებისა და ლექტორების მიერ მოწოდებულ სილაბუსებში მითითებულია ორი შუალედური შეფასება და გამოცდა. სტუდენტები ასევე ფასდებიან ლექციებისა და სემინარების დროს შესრულებული აქტივობებით. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები მორგებულია საგნის სპეციფიკაზე და საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

ანალოგიურად, შუალედური, განმავითარებელი და დასკვნითი გამოცდები თანმიმდევრულია შინაარსობრივად. ძირითადად პროფესორ-მასწავლებლებს სილაბუსებში მითითებული აქვთ ორი შუალედური შეფასება და გამოცდა. სტუდენტები ასევე ფასდებიან ლექციებისა და სემინარების დროს შესრულებული აქტივობებით. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები მორგებულია საგნის სპეციფიკაზე და აძლევს სტუდენტებს საკუთარი უნარების გამოვლენის შესაძლებლობას. შუალედური შეფასებების პროცესში მიცემული გამოხმაურება წარმოადგენს გამოცდის წარმატებით ჩაბარების წინაპირობას.

ინტერვიუებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათი შეფასება ეფუძნება ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ხოლო კითხვების ან გაუგებრობის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ გაეცნონ თავიანთ ქვიზს ან საგამოცდო ნაშრომებს, მიიღონ პასუხი პროფესორების/აკადემიური პერსონალისგან და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრონ შეფასება. თუმცა ეს პროცესი არცერთ რეგულაციაში არ არის ჩაწერილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის რეგულირება
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წერა და დაცვა
- დოქტანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

[საჭიროების შემთხვევაში](#), აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა) და პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო ღონისძიება და ტარდება „დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია იმავე დებულებაში, არის გამჭვირვალე და ობიექტური.

დისერტაციის დაცვამდე სტუდენტი, გეგმის მიხედვით, ატარებს მრავალჯერად საკონსულტაციო შეხვედრას თავის ხელმძღვანელთან და იღებს რეკომენდაციებს გაუმჯობესებისათვის. ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დოქტორანტის აკადემიურ და კვლევით ეთიკაზე და ამზადებს ანგარიშს პლაგიატის პრევენციის პროგრამაზე ნაშრომის შემოწმების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანების კრიტერიუმებს.

რჩევები:

პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანების კრიტერიუმებს.

რჩევები:

პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების კრიტერიუმებს.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო გზამკვლევისა და ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

კონსერვატორიას აქვს სხვადასხვა სტუდენტური სერვისი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების განვითარებასა და დამხმარე აქტივობებზე. სტუდენტები ჩართულნი არიან უსდ-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ადგილზე ვიზიტიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ სტუდენტი და კურსდამთავრებული ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებელ და თვითშეფასების ჯგუფებში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის შეფასების პროცესში სხვადასხვა გზით, როგორცაა: აკადემიური/მოწვეული პერსონალის, პროგრამის სტრუქტურის, ადმინისტრაციის შეფასება და ა.შ. შეფასების ჯგუფმა შეძლო შეემოწმებინა ელექტრონული პლატფორმა (LMS), სადაც სტუდენტები იღებენ ამ კითხვარებს თავიანთი პროფესორების/აკადემიური პერსონალის შესაფასებლად, ხოლო პროცესის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აკადემიური პერსონალი იღებს გამოხმაურებას. LMS აღჭურვილია სხვა შესაძლებლობებით, როგორცაა აუდიტორიების დაჯავშნის სისტემა კერძო ტრენინგისთვის. სტუდენტები რეგისტრირდებიან გაკვეთილებზე, იღებენ სემესტრის განრიგს, ამოწმებენ საკუთარი სწავლის პროგრესს, აგრეთვე იყენებენ მას ადმინისტრაციასთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციის საშუალებად.

უმადლეს სასწავლებელში ინტეგრაციის პროცესის დასახმარებლად კონსერვატორიაში სტუდენტური ცხოვრების დასაწყისში სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც ისინი ეცნობიან კონსერვატორიის რეგულაციებს და პროგრამას. მარტივი კომუნიკაციისათვის ყველა სტუდენტს აქვს თავისი პირადი კორპორატიული ელფოსტა Gmail-ზე, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან და კლასგარეშე აქტივობებთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების შესახებ.

აკადემიური პროცესების გარდა, სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროექტში, სპორტულ აქტივობებში, ექსკურსიებში.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში პარტნიორ უსდ-თან არა მხოლოდ Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, არამედ კონსერვატორიასა და სხვა უსდ-ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გაცვლითი პროგრამები ითვალისწინებს სწავლის ან/და კვლევის კომპონენტს. ჩვენს ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სწავლობდნენ საზღვარგარეთ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა
- მემორანდუმები.
- ინტერვიუს შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის ჯეროვნად შესრულების საშუალებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა), პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა), პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა), პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა) და პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

კონსერვატორიამ შეიმუშავა დებულება სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის მომზადებისა და დაცვის შესახებ, დებულება, რომელიც არეგულირებს დისერტაციის მომზადებისა და დაცვის ყველა დეტალს. დებულება ასევე აღწერს დისერტაციის ხელმძღვანელის ფუნქციებსა და მოვალეობებს. თითოეულ მაგისტრანტსა და დოქტორანტს გამოეყოფა კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს კვლევის თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამუშაო პროცესში სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს ხელმძღვანელი, დანიშნოს თანახელმძღვანელი, მიიღოს კონსულტაციები ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისგან. კონსულტაციის საათები გაწერილია შესაბამის

რეგლამენტში. ამ პროცესში სტუდენტებს ეძლევათ კონსულტაცია საკვლევო თემის, მეთოდოლოგიის, დისერტაციის და პრეზენტაციის მომზადების მოთხოვნებისა და სპეციფიკის შესახებ.

სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი პროგრამის აკადემიური პერსონალიდან, ასევე სხვა ფაკულტეტიდან. დისერტაციის ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტიდან ან სხვა დაწესებულებიდან მოწვეული შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ლექტორი.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამ 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა) პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	17
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	14
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	4
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	2
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	17/4
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	14/2

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა), პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	11
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	9
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	3
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	0

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	11/3
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	-

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	3
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	-
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	0
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	-
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	-
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- დებულება სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის მომზადებისა და დაცვის შესახებ

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (კომპოზიციის სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (მუსიკოლოგიური კვლევების სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
